ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1450964

ნომერი: AR1245880

თარიღი : 21.08.2014

გაცემის თარიღი : 09.09.2014

გაცნობის თარიღი : 12.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოლოუბანი , ნაკვეთი 20/040 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , უნივერმაღის მიმდებარედ , ნაკვ.20/039 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კალოუბანი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ვასაძე პ/ნ 01008005344
- თბილისი გ.შატბერაშვილის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 21.08.2014 წ. #AR1245880 განცხადებით მომართა მოქ. დავით ვასაძემ მოითხოვა 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, საკადასტრო კოდის, კონფიგურაციის შეცვლა და საპროექტო ობიექტის (სავაჭრო) დამატება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ

თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 05.09.2013 წ. #01.19.20.020.009 (3922 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენებით მასში დამხმარე ფართის მოწყობის მიზნით (სასაწყობე, საქვაბე) დამტკიცდა #866167 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6). განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.19.20.020.052 ფართობი – 4428 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულების გაერთიანების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.19.20.020.052 ფართობი – 4428 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-4428 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს- #01.19.20.020.052;
3. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ობიექტის დასახელება უნდა დაფიქსირდეს: – არსებული შენობის რეკონსტრუქცია მიშენებით მასში დამხმარე ფართის მოწყობა (სასაწყობე, საქვაბე) და სავაჭრო ობიექტი;
4. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   - ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი #24 (26.06.2014) (იხ. დანართი);
   - ქ. თბილისის მერის #1694 07.07.2014წ. განკარგულება (იხ. დანართი);
5. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს:
   - ქ. თბილისის მერის #1694 07.07.2014წ. განკარგულების შესაბამისად აღნიშნული მიწის ნაკვეთისთვის გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება და მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი განისაზღვრა კ1-0,7-ით;
6. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2013 წ. #866167 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.